საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

ბრძანება № 6/13

ქ.თბილისი

"02" ივნისი 2015 წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
15 წლისთავის აღნიშვნის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შექმნის 15 წლისთავის აღნიშვნის მიზნით, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") 15 წლისთავის აღნიშვნის ღონისძიება გაიმართოს 2015 წლის 30 ივნისს 19:00 საათზე;
2. კომისიის 15 წლისთავის აღნიშვნის ღონისძიების გამართვის მიზნით შეიქმნას საორგანიზაციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: მერაბ ქათამაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), გიორგი ფრუიძე, თამთა ტეფნაძე, ხატია ყურაშვილი, თამარ მელიქიძე, იოსებ ხარებავა (ჯგუფის მდივანი), რატი სხირტლაძე, სერგო შავგულიძე, იოსებ აბულაძე, დავით გოგიჩაიშვილი, პავლე ბერია, მარიკა არაშიძე, მზია გოგილაშვილი, რევაზ მორგოშია, რეზო სვანიძე, პავლე ანთელავა, და რუსუდან ჭაბუკიანი;
3. ღონისძიების გამართვის საორგანიზაციო ჯგუფმა უზრუნველყოს:

ა) ღონისძიების პროგრამის შედგენა და მ/წლის 09 ივნისამდე კომისიისთვის შესათანხმებლად წარმოდგენა (მ. ქათამაძე და გ. ფრუიძე);

ბ) 15 წლის მანძილზე კომისიის და რეგულირებადი სფეროს განვითარების ტენდეციების ამსახველი პრეზენტაციის მომზადება და მ/წლის 09 ივნისამდე წარმოდგენა (რ. სხირტლაძე, სერგო შავგულიძე, რეზო სვანიძე და ხ. ყურაშვილი);

გ) მოსაწვევ პირთა სიის მ/წლის 09 ივნისამდე წარმოდგენა (ხ. ყურაშვილი, მ. გოგილაშვილი, ს. შავგულიძე და ი. ხარებავა);

დ) დარბაზის შერჩევა და მ/წლის 09 ივნისამდე დაჯავშვნა (თ. მელიქიძე, ხ. ყურაშვილი, მ. არაშიძე, რ. ჭაბუკიანი, რ. მორგოშია და პ. ანთელავა);

ე) საჭირო ატრიბუტიკის (ბანერი, კომისიის ლოგო, მოსაწვევი ბარათი, კონვერტი, საჩუქარი და სხვ.) ჩამონათვალის შედგენა და მ/წლის 10 ივნისამდე წარმოდგენა (თ. ტეფნაძე, ხ. ყურაშვილი, თ. მელიქიძე, მ. არაშიძე, რ. მორგოშია, პ. ანთელავა და რ. ჭაბუკიანი,);

ვ) ღონისძიების ჩატარებისათვის საჭირო ბიუჯეტის შედგენა (მოსაწვევი ბარათი, კონვერტი, დარბაზი, ალაფურშეტი, თარჯიმანი, ბანერი, საჩუქარი, ფოტო–ვიდეო გადაღება და სხვ.) და მ/წლის 12 ივნისამდე შესათანხმებლად კომისიისთვის წარმოდგენა (თ. ტეფნაძე, ხ. ყურაშვილი, რ. სხირტლაძე, მ. გოგილაშვილი, დ. გოგიჩაიშვილი, ი. აბულაძე, რ.მორგოშია და პ. ანთელავა);

ზ) ღონისძიებაზე წარსადგენი ტექსტებისა და მისასალმებელი სიტყვის მ/წლის 15 ივნისამდე მომზადება და კომისიისთვის გასაცნობად წარმოდგენა (რ. სხირტლაძე, რ. სვანიძე, თ. ტეფნაძე და ხ. ყურაშვილი);

თ) სტუმრებისთვის მოსაწვევების მ/წლის 22 ივნისამდე დაგზავნის ორგანიზება (ხ. ყურაშვილი, მ. გოგილაშვილი და პ. ანთელავა);

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

4. დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტს (ი. აბულაძე) 2015 წლის 17 ივნისამდე გამოყოს საიუბილეო ღონისძიების ჩატარების ორგანიზებისათვის საჭირო თანხა;

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კომისიის წევრს ბ–ნ მერაბ ქათამაძეს.

კომისიის თავმჯდომარე ვ. აბაშიძე